

# დოკუმენტი, რომლის გათვალისწინებით, მთავრობას ბორჯომის ხანძრის მძიმე შედეგების თავიდან აცილება შეეძლო

 [rustavi2.ge/ka/news/83424](https://rustavi2.ge/ka/news/83424)

ბორჯომის ხანძრის მძიმე შედეგების თავიდან აცილება საქართველოს მთავრობას იმ დოკუმენტის გათვალისწინებით შეეძლო, სადაც განერილია, თუ რა აუცილებელი ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისთვის, რომ ხანძრის შემთხვევაში, მძიმე შედეგები თავიდან ავიცილოთ. მათ შორის დათვლილია, რა ჯდება ტყეში გზის გაყვანა, სად უნდა გავიდეს ეს გზები და სად მოეწყოს წყლის რეზერვუარები. ამავე დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ქვეყანას თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა სჭირდება.

ამ დადგენილების გარდა, საქართველოს მთავრობამ არ გაითვალისწინა საერთაშორისო ექსპერტების დასკვნა, რომელიც 2008 წელს ბორჯომში რუსული ავიაციის მიერ გაჩენილი ხანძრის შემდეგ დაინერა.

**მწვანე ალტერნატივაში** მიაჩნიათ, რომ დადგენილებით გათვალისწინებული პუნქტები რომ შესრულებულიყო, ცეცხლი უფრო დროულად ჩაქრებოდა და ბარალიც ნაკლები იქნებოდა.

სამხედრო ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სისტემების გენერალი ამირან სალუქვაძე მიიჩნევს, რომ სახანძრო ავიაციის მიმართულებით სერიოზული გადამზადება უნდა დაიწყოს. ექსპერტი ამბობს, რომ რაც უნდა მაღალი კლასის იყოს მფრინავი, ავიაციით ცეცხლის ჩაქრობას სპეციალური ცოდნა სჭირდება.

გარემოსდამცველები მიიჩნევენ, რომ ქვეყანას ხანძრის გაკვეთილები სჭირდება და ეს ბოლო დღეების მოვლენებმა უჩვენა.

უცნობია, ცეცხლის სრული ლიკვიდაციის შემდეგ დაიწყებს თუ არა მზადებას აღმასრულებელ ხელისუფლება 2018 წლის გვალვის 2-თვიანი სეზონისთვის.